მშრომელთა ყველა ქვეყნის, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრული დაკავშირების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ГРУЗИНСКИЙ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ

САМШАБАТИ, 24 აპრილი, 1945 წ. № 81 (7296). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს
საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს
ფრონტის ფაბების უფროსს
გენერალ-პოლკოვნიკ მაღინინს

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ოდერის დაბავშვეთ ნაპირის ალაცდარმებიდან გადავიდნენ შეტევაზე, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული, დრმად ეშელონირებული თავდაცვა, რომელიც ბერლინს აღმოსავლეთიდან იფარავდა, წინ ჩაიწიეს 60-დან 100-მდე კილომეტრით, დაიკავეს ქალაქები ოდერის ფრანკფურტი, ვანდ�ინი, ორანიენბურგი, ბიჩენვეიდენი, გენიზსდორფი, პანკოვი, ფრიდრიხსფელდი, კარლსჰორსტი, კეპენიკი და შეიჭრნენ გერმანიის დედაქალაქ ბერლინში.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ბერლინზე შეტევისას წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ კუზნეცოვის, გენერალ-პოლკოვნიკ ბერზარინის, გენერალ-პოლკოვნიკ ჩუიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ პერხოროვიჩის, გენერალ-ლეიტენანტ პოპლავსკის პოლოვნეთის 1-ლი არმიის, გენერალ-პოლკოვნიკ ბელოვის, გენერალ-პოლკოვნიკ კოლესაკოვის, გენერალ-პოლკოვნიკ ცვეტაევის, გენერალ-მაიორ ბუკატინოვიჩის, გენერალ-მაიორ კუზიკოვის, გენერალ-მაიორ ბელიავსკის, გენერალ-ლეიტენანტ ლუკიანჩიკოვის, გენერალ-მაიორ როტკევიჩის, გენერალ-ლეიტენანტ კუზკა-დენიროვის, გენერალ-მაიორ ვლადიმირსკის, გენერალ-მაიორ ორლოვსკის, გენერალ-მაიორ პეტროვიჩკინის, გენერალ-ლეიტენანტ კაზანკინის, გენერალ-მაიორ შირსოვის, გენერალ-ლეიტენანტ ზერგებინის, გენერალ-ლეიტენანტ როსლის, გენერალ-ლეიტენანტ ბელაზუნოვის, გენერალ-ლეიტენანტ რიფოვის, არტილერის გენერალ - მაიორ ხეთაგაროვის, გენერალ - ლეიტენანტ კოზლოვის, გენერალ-ლეიტენანტ ანდროვის, გენერალ-მაიორ ანანაშვილის, გენერალ-მაიორ სიბოზოვის, გენერალ-ლეიტენანტ ხალიუზინის, გენერალ-მაიორ ფედუნენკოვის, გენერალ-მაიორ ბევზუკის, გენერალ-მაიორ კინდეიკინის, პოლკოვნიკ ხუროცინის, პოლკოვნიკ ზაიკოვსკის, პოლკოვნიკ შეიბანის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ნაბისევის, პოლკოვნიკ კაზანოვის, არტილერის გენერალ-ლეიტენანტ ნაბისევის, არტილერის გენერალ-მაიორ კოსენკოს, არტილერის გენერალ-ლეიტენანტ პოტაპოვის, არტილერის გენერალ-მაიორ მოროზოვის, არტილერის გენერალ-მაიორ მოკეევსკის, არტილერის გენერალ-მაიორ ეფიმოვის, არტილერის გენერალ-მაიორ კლასკოვის, არტილერის გენერალ-მაიორ ფარლოვის, არტილერის გენერალ-ლეიტენანტ იგნატოვის, არტილერის გენერალ-ლეიტენანტ რომანოვიჩის, არტილერის გენერალ-მაიორ ლიხაჩოვის, არტილერის გენერალ-მაიორ ზეეროვის, არტილერის გენერალ-მაიორ ზარაშევსკის, არტილერის გენერალ-მაიორ ბოგდანოვი, პოლკოვნიკ მიხაილოვის, არტილერის გენერალ-მაიორ სპირიდონოვის, პოლკოვნიკ პასკოვის, პოლკოვნიკ კორაბლინის, პოლკოვნიკ პისარევის, პოლკოვნიკ ფიგანკოვის, პოლკოვნიკ კოგანის, პოლკოვნიკ გლეზნასის, პოლკოვნიკ ვიპერეიზეის, პოლკოვნიკ ლიუშაკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ქორკინის, პოლკოვნიკ ლოკოლოვის, მაიორ ბაღაევის, პოლკოვნიკ სკვორცოვის, პოლკოვნიკ მიზაილოვსკის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ბოგდანოვის, სატანკო ჯარების გენერალ - პოლკოვნიკ კატუკოვის, გენერალ - ლეიტენანტ რაბინოვსკის, სატანკო ჯარების გენერალ - ლეიტენანტ შალინის, პოლკოვნიკ ანინიმოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვაინრუნის, პოლკოვნიკ ნიკოლაევის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ქრეტოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნიკოლინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვედენეევის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ქრინოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ფილიპოვის, პოლკოვნიკ ბაბაჯანიანის, გენერალ-მაიორ დრანეოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კირინოვის, პოლკოვნიკ ეფიმენკოს, პოლკოვნიკ ნაზაროვის, პოლკოვნიკ ერემეევის, პოლკოვნიკ ბაჩკოვსკის ტანკისტებმა; ავიაციის მეორე მარშალ

-ლეიტენანტ კოსტანტინოვის კავალერისტებმა; ავიაციის მეორე მარშალ ბოლოვანოვის, ავიაციის მეორე მარშალ ბოლოლუბოვის, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ჩუდინოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბრაიკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ კარპუაცკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სპეიკის, ავიაციის გენერალ-მაიორ ძუსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ სიდეევის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტოკარევის, ავიაციის გენერალ-მაიორ კრუპსკის, პოლკოვნიკ სუხორიაბოვის, პოლკოვნიკ ბერკალინის, პოლკოვნიკ ტალანინის, ავიაციის გენერალ-მაიორ კოზმარინის, პოლკოვნიკ ნაკოფეხიდოვის, პოლკოვნიკ რუსაკოვიჩის, პოლკოვნიკ კალინინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბელეცკის, ავიაციის გენერალ-მაიორ სკოკის, ავიაციის გენერალ-მაიორ ბორისნიკოვის, პოლკოვნიკ ტურიკინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ტუპიკოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სოროკინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ნესტერენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ლეონეევის, ავიაციის გენერალ-მაიორ კარატაევის, ავიაციის გენერალ-მაიორ გლუშანეკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ჩეფოდანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ნაბოკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ბალაშოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტიხონოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ბლინოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ მეფზიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ბარსკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ შირკოვის, პოლკოვნიკ ბოგრეფცევოვის, პოლკოვნიკ ჩუკიკოვის, პოლკოვნიკ გუსაროვის მფრინველებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ პროზოლიაკოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ შუჩინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ტკაჩენკოს, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ მარინინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბორაძილოვსკის, პოლკოვნიკ კოპაკევის, პოლკოვნიკ ბელსკის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ხარჩენკოს, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ იაკოვლევის, პოლკოვნიკ ნეძელსკის, პოლკოვნიკ მასიანის, პოლკოვნიკ ჩიტკოვის, პოლკოვნიკ პრუნის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ლესნინის შესანაღრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მაქსიმენკოს, პოლკოვნიკ ფალინის, პოლკოვნიკ ჩიკასოვის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ პაპიოვის, პოლკოვნიკ სოლოვიოვის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ლებედევის, პოლკოვნიკ ვინიკის, პოლკოვნიკ სმოლინს, პოლკოვნიკ ზასპაროვის, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ ვაიბეის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაფიცონდა ნაწილები, რომელმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ბერლინზე შეტევისას წარმოებულ ბრძოლებში, წარდგენილი იქნენ ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 აპრილს, 21 სალუტე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათოხი ქვემეხის ოცი სალტოლეროო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტ პოპლავსკის პოლოვნეთის 1-ლი არმიის, მამაც ჯარებს, რომლებიც ბერლინისაკენ გაიჭრნენ.

ჩინეთელი სახმრდოლი მოქმედებისათვის, ეაღლოგბას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ბერლინზე შეტევისას წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო ღიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

ს

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს
ფრონტის შტაბის უფროსს არმიის გენერალ პეტროვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, არტილერიისა და ავიაციის მასობრივი დარტყმების დახმარებით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი გამაგრებული და ღრმად ეშელონირებული თავდაცვა მდინარე ნეისეზე, წინ წაიწიეს 80-დან 160-მდე კილომეტრით, დაიკავეს ქალაქები [illegible]

[illegible]

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისა და დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნენ ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 აპრილს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, [illegible]

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევისა და დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 23 აპრილი. № 340.

საქმესი უარყოფს

[illegible]

გ-ნ ე. ოსუბკა-მორავსკის სიტყვა
(დასასრული)

[illegible]

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ პოლონეთს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარების სარდალს არმიის გენერალ ერემენკოს
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ სანდალოვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 22 აპრილს დღის ბოლოს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იერიშით დაიკავეს ქალაქი ოპავა (ტროპაუ)—გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ოპავის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ კუროჩკინის, გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს, გენერალ-მაიორ ოზიმინის, გენერალ-მაიორ ტერტიშნის, გენერალ-მაიორ ზაპოროჟჩენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ბონდარევის, გენერალ-ლეიტენანტ ბორდეევის, გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, გენერალ-მაიორ კრასავინის, პოლკოვნიკ კაზარინოვის, გენერალ-მაიორ ბორისოვის, გენერალ-მაიორ მეტალნიკოვის, გენერალ-მაიორ გოლცოვის, პოლკოვნიკ პეტრენკოს, პოლკოვნიკ კლიმენკოს, გენერალ-მაიორ ზუბოვის, გენერალ-მაიორ იანკოვსკის, პოლკოვნიკ ხომიჩის, გენერალ-მაიორ ბეჟკოს, პოლკოვნიკ გრედინარენკოს, პოლკოვნიკ ვლასოვის, გენერალ-მაიორ ვასილევსკის, პოლკოვნიკ ვასილიევის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ კაბატჩიკოვის, პოლკოვნიკ სმირნოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოფანოვის, პოლკოვნიკ ჯინჭარაძის, პოლკოვნიკ ბაბჩუკის, პოლკოვნიკ ჯიგას, პოლკოვნიკ სოკოლოვის, პოლკოვნიკ კივას, პოლკოვნიკ ბაბანიჩის, პოლკოვნიკ მოლჩანოვის, პოლკოვნიკ შევჩენკოს, პოლკოვნიკ პარნოვსკის, პოლკოვნიკ ზაპოროჟჩუკის, პოლკოვნიკ ბურდაევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ რემიზოვის, პოლკოვნიკ კოვალევის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ პახომოვის, პოლკოვნიკ ზაევის, პოდპოლკოვნიკ ტარაკანოვის, პოდპოლკოვნიკ იანკოს ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟდანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ რუბანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ გოლოვნიას, ავიაციის გენერალ-მაიორ კოტელნიკოვის, პოლკოვნიკ ობუხოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ უსოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ლაკეევის, პოლკოვნიკ ჩუკის, პოდპოლკოვნიკ ბუდინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლესნიკოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კონცევოის, პოლკოვნიკ ვოლოდინის, პოლკოვნიკ სერებრიაკოვის, პოლკოვნიკ ბარაშის, პოლკოვნიკ ზუბოვის, პოლკოვნიკ სოროკინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ გორბაჩევის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მატვეევის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ნესტეროვის, პოლკოვნიკ ტარუნინის, პოლკოვნიკ სტეპანიანის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ოპავის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნენ ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 აპრილს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ოპავა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ოპავის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 23 აპრილი. № 341.

საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა გაფრთხილება ყველა გერმანელ კომენდანტს, მცველებსა და გესტაპოს მოსამსახურეებს

23 აპრილს ყველა გაერთიანებულ ერთა სახელით სამი მთავრობის—საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურებმა აცნობეს გერმანიის სარდლობას და გერმანიის ყველა ფრონტზე გაავრცელეს შემდეგი შინაარსის განცხადება:

„გერმანიასთან ომში მყოფ ყველა გაერთიანებულ ერთა სახელით საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობანი ამით საზეიმო გაფრთხილებით მიმართავენ ყველა კომენდანტს და მცველებს, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან მოკავშირეთა სამხედრო ტყვეები გერმანიაში და გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აგრეთვე გესტაპოს მოსამსახურეებსა და ყველა სხვა პირთ, დამოუკიდებლად მათი სამსახურის ხასიათისა და რანგისა, რომელთა გამგებლობაშიც გადაცემული არიან მოკავშირეთა სამხედრო ტყვეები, იქნება ეს ბრძოლების ზონაში, კომუნიკაციების ხაზებზე თუ ზურგის რაიონებში. ისინი აცხადებენ, რომ ყველა ამ პირს არანაკლებ, ვიდრე გერმანიის უმაღლეს სარდლობას და გერმანიის კომპეტენტურ სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ხელისუფალთ, ისინი ჩასთვლიან ინდივიდუალური წესით პასუხისმგებლად, მათ გამგებლობაში მყოფი მოკავშირეთა ყველა სამხედრო ტყვის უშიშროებისა და კეთილდღეობისათვის.

ყოველი პირი, რომელსაც ბრალი მიუძღვის მოკავშირეთა თვითეული სამხედრო ტყვესადმი ცუდ მოპყრობაში, ან დაუშვებს მათდამი ცუდ მოპყრობას, იქნება ეს ბრძოლების ზონაში, კომუნიკაციების ხაზზე, ბანაკში, ჰოსპიტალში, საპყრობილეში თუ სხვა ადგილას, დაუნდობლად იქნება დევნილი და დასჯილი.

საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები გაფრთხილებას იძლევიან, რომ ამ პასუხისმგებლობას ისინი ყველა გარემოებაში ჩასთვლიან უცილობელ და ისეთ პასუხისმგებლობად, რომლისგანაც არ შეიძლება განთავისუფლება მისი გადაკისრებით სხვა ხელისუფლებზე თუ პირებზე.

საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰ. ტრუმენი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი“

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 75 წლისთავი

ლენინის ქალაქში

დღეს ლენინგრადელებმა აღნიშნეს ვ. ი. ლენინის დაბადების 75 წლისთავი. ლენინგრადში კვლავ გაიხსნა მნახველთათვის ბინა-მუზეუმები, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე სხვადასხვა წლებში ცხოვრობდა.

მრავალი მნახველი იყო 48/9 სახლში ლენინის (ყოფ. შიროკაია) ქუჩაზე. აქ ერთ-ერთ ბინაში ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა 1917 წელს. აქ დასწერა მთელი რიგი ნაწარმოებნი, ატარებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირებს. ამ ბინაში მას ხშირად ნახულობდნენ ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ს. ორჯონიკიძე. მოწიწებით ათვალიერებენ ლენინგრადელები ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ილიჩის სახელთან: ფოტოსურათებს, მაგიდას, რომელზეც ვლადიმერ ილიას-ძემ 150 სტატია დასწერა, სავარძელს და სხვა დაცულ ავეჯს.

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი გამოფენა. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ერთ დროს ხშირად იყო ხოლმე ვლადიმერ ილიას-ძე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის ლექტორიუმის დიდ დარბაზში შესდგა ვ. ი. ლენინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

ილიჩის სამშობლოში

ულიანოვსკის ორი ათასზე მეტმა მცხოვრებმა ინახულა ვ. ი. ლენინის სახლი-მუზეუმი. მრავალრიცხოვანი ექსკურსიები მოეწყო გონჩაროვის სახელობის სამხატვრო მუზეუმში ლენინის ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათების გამოფენის სანახავად.

ლენინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ კრებებზე ოლქის მშრომელებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ტექსტი ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნი წერილისა, რომელშიაც სიტყვას იძლევიან გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება, გამოუშვან უფრო მეტი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, საბრძოლო წესით ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა.

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია პარიზში

პარიზი, 23 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ლენინის დაბადების 75 წლისთავის გამო საფრანგეთში სსრ კავშირის ელჩ ბოგომოლოვის, სენის პრეფექტ ფლურეს და სხვა ფრანგ მოღვაწეთა თანადასწრებით პარიზის მე-14 ოლქში დადგმულ იქნა მემორიალური დაფები ორ სახლზე, რომლებშიც ლენინი ცხოვრობდა 1908 წლის დეკემბერში და 1912 წლის ივნისში. სიტყვებით გამოვიდნენ კომიტეტ „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ გენერალური მდივანი ფრანკერი, პრეფექტი ფლურე და ამხ. ბოგომოლოვი.

მტკიცდება მეგობრობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. 21 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ძნელია გადაჭარბებით შეფასება ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტისა, რომელიც მოასწავებს ძირეულიან მობრუნებას საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობაში. ეს ხელშეკრულება, როგორც აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, ბოლოს უღებს წარსულს, ასამარებს „ძველ ურთიერთობას ჩვენს ქვეყნებს შორის და ჰქმნის რეალურ ბაზას იმისათვის, რომ ძველი მტრული ურთიერთობა შეიცვალოს საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის კავშირისა და მეგობრობის ურთიერთობით“. ამასთან ერთად იგი წარმოადგენს ძვირფას განძს საერთო მტრის უსწრაფესი განადგურებისათვის ბრძოლის საქმეში, ამ ბრძოლაში გაერთიანებული ერების გაძლიერების საქმეში.

ხელშეკრულება წარმოადგენს ქმედით ფარალს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად ახლანდელ ომში და მოწოდებულია ომისშემდგომ პერიოდშიც განამტკიცოს სსრ კავშირსა და დემოკრატიულ პოლონეთს შორის ჩამოყალიბებული მეგობრობისა და მოკავშირეობითი თანამშრომლობის ურთიერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობა, ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის ცეცხლში გამოწრთობილი, განმტკიცებულ იქნება ხალხთა მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის მიზნით, აგრესიის განმეორების ყოველგვარი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, აგრესიისა, რომლისგანაც ესოდენ ძლიერ დაზარალდნენ სსრ კავშირის, პოლონეთისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ხალხები.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხები ერთმანეთის გვერდით დგანან ახლანდელ ბრძოლაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ისე, როგორც წარსულში არასოდეს ყოფილა, განსაკუთრებული მკაფიობით იჩინა თავი საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ინტერესთა ისტორიულმა ერთიანობამ. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთისა, რომელთა მიწა-წყალზეც მუდამ ასე ხარბად ეჭირა თვალი გერმანელ მტაცებელს. აქ იგი საბოლოოდ იქნება მოსპობილი. მაგრამ ამით როდი ამოიწურება ის ამოცანები, რაც დგას თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინაშე, რომლებმაც სძლიეს გერმანელ ფაშისტ მხეცს. საბჭოთა კავშირი და პოლონეთი არა მარტო დაკავშირებული არიან საერთო საზღვრით; საბჭოთა კავშირი და პოლონეთი აგრეთვე გერმანიის მოსაზღვრენი არიან, ორივე ქვეყანას ოდითვე ემუქრებოდა გერმანიის თავდასხმის საფრთხე. გერმანელი იმპერიალისტები ყოველთვის განიხილავდნენ პოლონეთს, როგორც „კორიდორს“ აღმოსავლეთში გასასვლელად, წარსულში რუსეთზე, ხოლო ამჟამად საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე პოლონეთმა ორჯერ განიცადა გერმანელი დამპყრობლების თავდასხმა. იგი ორჯერ გახდა „კორიდორი“ „დრანგ ნახ ოსტენის“ („აღმოსავლეთზე შეტევის“) ავაზაკური პოლიტიკის განსახორციელებლად. პოლონეთზე ლაშქრობით დაიწყო ჰიტლერმა ახლანდელი ომი.

დიდი წამება, მძიმე განსაცდელი გამოიარა პოლონელმა ხალხმა. მან ბოლომდე შესვა ჰიტლერული ჩაგვრის მთელი სიმწარე, თავის თავზე განიცადა სლავ ხალხთა გაჟლეტის კაციჭამიური პრაქტიკა. პირსისხლიანი კაციჭამია ჰიტლერი ამბობდა: „საჭიროა ყოველგვარი საშუალებით მივაღწიოთ იმას, რომ მსოფლიო გერმანელებმა დაიპყრონ. თუ გვსურს შევქმნათ ჩვენი დიდი გერმანული იმპერია, უწინარეს ყოვლისა უნდა განვდევნოთ, გავჟლიტოთ სლავი ხალხები — რუსები, პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, უკრაინელები, ბელორუსები. არ არსებობს არავითარი მიზეზი, რომ ეს არ გავაკეთოთ“. პოლონეთში რომ შეიჭრნენ, გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები შეუდგნენ ამ შემაძრწუნებელი პროგრამის განხორციელებას. პოლონეთი მიატოვეს თავისმა ყათ-მმართველებმა, რომლებსაც არ სურდათ მოკავშირეობის ურთიერთობა ჰქონოდათ საბჭოთა კავშირთან, ამჯობინებდნენ ეწარმოებინათ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თამაშის პოლიტიკა და პოლონეთი დასაღუპად მიუგდეს გერმანელებს. გერმანელმა ფაშისტმა ჯალათებმა მტვრად და ფერფლად აქციეს პოლონეთის ქალაქები, მათ მილიონობით პოლონელი გაჟლიტეს.

პოლონელი ხალხი არ დამორჩილდა. იგი შეუპოვრად და მტკიცედ, გმირულად იბრძოდა ოკუპანტების წინააღმდეგ. მაგრამ მას ძალა არ შესწევდა მოეშორებინა გერმანულ-ფაშისტური უღელი. საბჭოთა ხალხმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა მრავალტანჯულ პოლონელ ხალხს. წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანიის შეიარაღებული ძალები, საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გადაიტანა საომარი მოქმედება და პოლონეთის ჯართან ერთად წარმოებულ ბრძოლებში გაათავისუფლა პოლონეთი ჰიტლერული მონობის მძიმე ბორკილებისაგან. ამაყ ვარშავაში, გდინიაში, გდანსკში პოლონეთის რესპუბლიკის ალმები აფრიალდა. თავისუფლად ამოისუნთქა პოლონელმა ხალხმა, რომელიც აღავსებს მადლობით საბჭოთა ხალხისადმი, განმათავისუფლებელი წითელი არმიისადმი.

პოლონელმა ხალხმა თავის ხელში აიღო თავისი ბედი. მან ზიზღით შეაქცია ზურგი რეაქციულ ემიგრანტულ ხროვას და მის ყბადაღებულ ლიდერებს, რომლებმაც „ვერაფერი ვერ ისწავლეს და არაფერი არ დაივიწყეს“. მაგრამ ცხოვრება და მოვლენათა განვითარება პოლონეთში თავისი გზით მიდიოდა. ცხოვრებამ და მოვლენათა განვითარებამ გარიყეს ეს უბადრუკი პოლიტიკოსები ან, უკეთ რომ ვთქვათ, პოლიტიკანები და გაწირეს ისინი პოლიტიკური კრახისათვის. განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლში იშვა ახალი პოლონეთი — თავისუფალი, დემოკრატიული პოლონეთი, მის წინაშე გადაიშალა ფართო და ბრწყინვალე პერსპექტივა პოლონეთის იმ ძველისძველი მიწების გაერთიანებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს წაართვეს გერმანელმა დამპყრობლებმა, პერსპექტივა პოლონეთის ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინებისა.

ახალი პოლონეთი მივიდა ისტორიული განვითარების მთელი ლოგიკით ნათარნახევ დასკვნამდე—ბოლო მოუღოს ხელოვნურად ნაღვივებ მტრობას საბჭოთა ხალხისადმი, მტრობას, რომელსაც წინათ რუსი ხალხის წინააღმდეგ აღვივებდნენ. მხოლოდ მძლავრ საბჭოთა კავშირთან, დიდი საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხებთან მეგობრობაში შეიძლება მოპოვებულ იქნას პოლონეთის სახელმწიფოს უშიშროება და შენარჩუნებულ იქნას მისი დამოუკიდებლობა — ამან ახლა უკვე ჰპოვა თითქმის საყოველთაო აღიარება პოლონეთში. [illegible] თავისი გამოხატულება [illegible] წყებული სტიქიური მოძრაობით საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ. ეს მოძრაობა წარმოიშვა იმ საფუძველზე, რომ პოლონეთის ხალხის ფართო მასებში ღრმად შეიჭრა სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის მეგობრული ურთიერთობის მთელი მნიშვნელობის შეგნება, იმის შეგნება, რომ მეგობრობის ხელშეკრულების დადება ნაკარნახევია პოლონეთის რესპუბლიკის ნამდვილი სასიცოცხლო ინტერესებით. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ პოლონელი ხალხის ამ მოძრაობამ მეგობრული გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ხალხისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრივ.

ჩვენი ქვეყნების ხალხები „გრძნობენ, რომ ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ახალი დემოკრატიული პოლონეთის დამოუკიდებლობის საწინდარს, მისი ძლიერების, მისი აყვავების საწინდარს“ (ი. სტალინი).

ამჟამად ხელმოწერილი ხელშეკრულება პირველია საბჭოთა კავშირის, ხოლო მანამდე — რუსეთისა და პოლონეთის ისტორიაში, არა მეზობელი სლავი ხალხის მეგობრობასა და ურთიერთდახმარებას რომ აცხადებს. პირველი მიზანი, რომელიც მან დაისახა, მტრის უსწრაფესი განადგურებაა. „ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები,—ნათქვამია ხელშეკრულებაში, — ყველა გაერთიანებულ ერთან ერთად განაგრძობენ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე“.

გამარჯვებისათვის ბრძოლა განუყრელად დაკავშირებულია ხალხთა მტკიცე მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის ბრძოლასთან. ფაშისტი მხეცი ახლა სულს ლევს. თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინაშე დგას ამოცანა არ დაუშვან ახალი აგრესიის წარმოშობა ჰიტლერული გერმანიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც ასეთ აგრესიაში გაერთიანდებოდა გერმანიასთან უშუალოდ ან რაიმე სხვა ფორმით. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულება მის მონაწილეებს ვალდებულებას აკისრებს „გულწრფელად გულწრფელი თანამშრომლობის სულისკვეთებით მიიღონ მონაწილეობა ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რაც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობიანობა და უშიშროება“ და „სრულად შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ მაღალი მიზნების განხორციელების საქმეში“. ხელშეკრულება განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები განახორციელებენ მას „იმ საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად, რომელთა მიღებაშიც ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე მონაწილეობდა“.

აგრესიის თავიდან აცილებისაკენ მიმართული ზომების კონკრეტულობა და ქმედითობა მკაფიოდ გამოხატულია ხელშეკრულების მე-4 მუხლში. ეს მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილეთა დაუყოვნებლივ ურთიერთ სამხედრო და სხვა დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე ომისშემდგომ პერიოდში „ჩაბმული აღმოჩნდება საომარ მოქმედებაში გერმანიასთან, რომელიც განაახლებდა თავის აგრესიულ პოლიტიკას, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან, რომელიც ასეთ ომში გაერთიანდებოდა გერმანიასთან უშუალოდ ან რაიმე სხვა ფორმით“.

ხელშეკრულების დამდებმა ორივე მაღალმა მხარემ ვალდებულება იკისრა მონაწილეობა არ მიიღოს მეორე მხარისადმი მტრულ რაიმე კავშირსა თუ კოალიციაში. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ამჟამად დამყარებული ურთიერთობიდან ზინარიბით გამომდინარე ფართო თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მიზნით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ოცი წელიწადია.

საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდა პოლონეთთან მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების ამბავს. ეს ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანია გაერთიანებულ ერთა გაძლიერების თვალსაზრისით, რომელნიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ეწევიან გერმანელი ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ.

„ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანული აგრესია ალყაშემორტყმულია აღმოსავლეთიდან. ეჭვს გარეშეა, რომ თუ ამ ბარიერს აღმოსავლეთიდან დაემატება ბარიერი დასავლეთიდან, ესე იგი ჩვენი ქვეყნების კავშირი ჩვენს მოკავშირეებთან დასავლეთში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანული აგრესია ალაგმული იქნება და იგი ადვილად ვეღარ ითარეშებს“ (ი. სტალინი).

ხელშეკრულება შეესაბამება სლავ ხალხთა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებული ორივე ქვეყნის — როგორც სსრ კავშირის, ისე პოლონეთის ძირითად, სასიცოცხლო ინტერესებს. სამუდამოდ წაშლილია წარსული, როდესაც სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხები გათიშული იყვნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ იდგნენ როგორც მტრები, რაც ხელსაყრელი იყო მათი საერთო მტრისათვის, რომელიც მოხერხებულად იყენებდა ამ მტრობას თავისი ანექსიებისა და ექსპანსიის მიზნებისათვის. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობა ამ ხელშეკრულებით სამუდამოდ საუკუნოდ მტკიცდება. ხალხთა მშვიდობიანობისა და უშიშროების სიმტკიცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულება, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მიერ დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან და იუგოსლავიასთან დადებული ხელშეკრულებანი, განამტკიცებს იმ საძირკველს, რომელზეც შენდება მომავალი მშვიდობიანობისა და უშიშროების შენობა.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის 1945 წლის 21 აპრილის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიაში შევა როგორც დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტი, ვინაიდან იგი ემსახურება გაერთიანებული ერების საერთო საქმეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან იგი ემსახურება იმ მეზობელ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს, რომლებიც შეკავშირებულნი არიან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების ერთიანობით.

21 აპრილს დადებული ხელშეკრულება, ეჭვს გარეშეა, გამოიწვევს ყველა იმათ ღრმა მოწონებას, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მეგობრობა, ვინც მიზნად ისახავს ჰიტლერელთა ურდოების უსწრაფესსა და სრულ განადგურებას, ვინც ხალხთა მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის იბრძვის. იმიტომ რომ ეს ისტორიული ხელშეკრულება „მოასწავებს გაერთიანებულ ერთა ერთიანი ფრონტის განმტკიცებას საერთო მტრის წინააღმდეგ ევროპაში“ (ი. სტალინი).

„პრავდის“ 22 აპრილის მოწინავე

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებები

სანიმუშოდ მოვუაროთ ვენახსა და ხეხილს!

საბჭოთა შამპანური

ჩვენს რაიონში მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. უმთავრესად განვითარებულია ყურძნის შამპანური ჯიშები. მევენახეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 28 ივლისის დადგენილების შემდეგ. 1936 წელს კოლმეურნეობებს ჰქონდათ 93 ჰექტარი ვენახი, 1944 წლისათვის მათ აქვთ — 960 ჰექტარი. ვენახების საერთო ფართობი კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებულის ჩათვლით 2.662 ჰექტარს შეადგენს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის მოსავლიანობა.

წელს კოლმეურნეობებმა გააუმჯობესეს ვენახების მოვლა-დამუშავება. მეტი ყურადღება აქვს დათმობილი ამერიკული ვაზის სადედეების, სათბურებისა და სანერგე მეურნეობის მტკიცე ბაზის შექმნას. რაიონის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ ზესტაფონელ კოლმეურნეთა მიმართვას ყურძნის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ბევრგან წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა ინიციატივას და ოპერატიულად ხელმძღვანელობენ შეჯიბრებას. შედეგიც კარგია. საკოლმეურნეო ვენახებში ვადამდე შეტანილია 5.700 ტონა ორგანული სასუქი და ვენახები გასხლულია აგროწესების ზუსტად დაცვით. 15 აპრილისათვის გათოხნილი და დაბარული იყო 738 ჰექტარი, გეგმის 77 პროცენტი, შესხურებულია 710 ჰექტარი ვაზი, გეგმის 79 პროცენტი, შესარვა და დამუშავება უახლოეს დღეებში დამთავრდება.

წელს გაშენებულია 0.75 ჰექტარი ცოცხალი ღობის სანერგე, რაც უზრუნველჰყოფს შემდგომი წლისათვის ვენახების შემოღობვას 5.000 მეტრზე. ამერიკული ვაზის სადედე რაიონში გაშენებულია 17,5 ჰექტარი. სადედეებში ყველა სახის სამუშაო დროულად ჩატარდა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. შექმნილია მევენახეობის 60 სპეციალური ბრიგადა და 135 რგოლი. ისინი დაკომპლექტებულია გამოცდილი კოლმეურნეებით.

წელს მეტი ყურადღება მიექცა კადრების მომზადებას მევენახეობისათვის. გადამზადებულია 60 ბრიგადირი და 90 რგოლის ხელმძღვანელი, მომზადებულია ვაზის 238 მყნობელი და 113 მსხლელი.

ვენახებს კარგად უვლიან სოფელ ლეჟუბის კოლმეურნეობა „წითელ სხივში" (თავმჯდომარე ა. კვინიკაძე, მევენახე ბრიგადირი ბელიძე). აქ ვენახები მთლიანად შესხურული, გათოხნილი და შემოღობილია. შეტანილია 200 ტონა ორგანული სასუქი. საუკეთესოდ არის მოვლილი ამერიკული ვაზის სადედე. სანერგისათვის მომზადებული აქვთ ნიადაგი.

სოფელ ბორის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. ბაქრაძე, მევენახე ბრიგადირი ე. პაპაძე) 26 ჰექტარი ვენახი მთლიანად დამუშავებული და შესხურულია. ამერიკული ვაზის სადედეები გასხლულია და კარგად არის მოვლილი. წარმატებით მიმდინარეობს ვაზის მყნობა. კოლმეურნეობამ გააშენა 0,25 ჰექტარი ცოცხალი ღობის სანერგე.

სოფელ ხუნევის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ლომიძე, მევენახე ბრიგადირი შ. ლომიძე) გასული წლის შემოდგომიდანვე შეუდგა ვენახების დამუშავებას. ამოთხრილია ვენახების სიმეჩხრე. 27 ჰექტარ ვენახის პლანტაციაში შეტანილია 250 ტონა ორგანული სასუქი. აქ ვაზს ყოველთვის კარგად უვლიან.

ვენახის სამუშაოთა დროულად ჩატარებისათვის ზოგი კოლმეურნეობა ნაკლებად ზრუნავს. ლორეშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას, კიცხის კოლმეურნეობას „ახალი ცხოვრებისაკენ" და სხვებს საკმაო რაოდენობით არ მოუმზადებიათ სარი. ვენახებს აკლია შემოღობვა. ცუდად აქვთ მოვლილი ამერიკული ვაზის სადედეები. მთელ რიგ კოლმეურნეობებს არა აქვთ მომარაგებული შესახხურებელი და შესაფრქვევი აპარატები. მიღებულია ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებში მოცემულია მევენახეობისა და მეხილეობის შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი. რაიონის პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. რაიონის კოლმეურნეები წარმატებით შეასრულებენ ყველა დავალებას მევენახეობის დარგში, მოიყვანენ ყურძნის უხვ მოსავალს, სამშობლოსა და ფრონტს მისცემენ მეტ საბჭოთა შამპანურს.

ზ. კიკნაძე
საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი

ვაზი კარგად იხარებს

ასპინძა („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ასპინძის რაიონში ყოველგვარი პირობა შექმნილია იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა ფართოდ გააშენონ ვენახები. არქეოლოგიური გათხრები და ისტორიული მონაცემები მოწმობენ, რომ მესხეთში, კერძოდ ასპინძის რაიონში, ძველთაგანვე ფართოდ იყო განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა. ამას ადასტურებენ ღვინის ვეებერთელა ქვევრები, რომლებიც აღმოჩენილია ვარძიის მონასტრის და თმოგვის ციხის მიდამოებში (ვარძიაში ღვინის ერთ ქვევრში აღმოჩნდა 700 წლის, წინანდელი ღვინის ნარჩენი), ნაქალაქევის, ოთისის, ასპინძის და ხიზაბავრის სასოფლო საბჭოების სოფლებში.

1940 წელს ასპინძის კოლმეურნეობაში 0,25 ჰექტარზე საცდელად გაშენებულ იქნა ვაზის შემორჩენილი ადგილობრივი, აგრეთვე შამპანურის ჯიშები. შარშან ამ ნაკვეთებზე გაშენებული ვაზიდან პირველად მიიღეს ნაყოფი. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ადგილობრივი ყურძნიდან მიღებული ღვინო მაღალი ხარისხისაა.

წელს განზრახულია შეძენილ იქნას 25 ათასი ძირი ვაზის ნერგი, რაც გაუნაწილდებათ კოლმეურნეობებს გასაშენებლად.

ნიადაგის მომზადება ვენახის გასაშენებლად დაწყებულია სოფელ ასპინძის კაგანოვიჩის (თავმჯდომარე ვ. რიჟამაძე), ოშორის სტუროვას (თავმჯდომარე ბეცხრიკიძე), თმოგვის მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე ს. ზაზაძე) და სხვა კოლმეურნეობებში.

ვ. თამაზაშვილი

ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები ონისიმე ბერძენიძე და ავეტის კარაპეტიანი მუშაობენ ხეხილის ბაღში.

მესხეთელ კოლმეურნეებთან

მესხეთის ნაყოფიერ მიწას გაზაფხულის სითბო სიხარულად მოეფინა. კვირტებმა იწყეს სკდომა. თეთრად აფეთქდნენ ტყემლები და ატმის ხეებიც ვარდისფრად შეიმოსნენ.

მთებიდან დაქანებული მდინარეები გაივსნენ წყლით. ჯეჯილმა ტანი აიყარა და ხალიჩასავით მოჰფინა ნაყოფიერ ახალციხის თვალუწვდენელ მინდვრებს.

ამ მინდვრებს იქვე წარსულის მოგონებათა აჩრდილებივით გარს არტყია ხავსმოდებული ციხე-კოშკები. ისინი მოგვაგონებენ ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიაზე. მათ დუმილში იმალება ამ სამხრეთის რბევა-აწიოკების სურათები, რომლებიაც დამპყრობლები თავიანთი სისხლიანი თათებით ხატავდნენ.

მაგრამ საქართველოს მიწა-წყალზე ვერც ერთმა მტერმა ვერ გაიხარა.

ამ ციხე-კოშკებს რომ უცქერით, გაგონდებათ ერეკლე, რომელიც 1773 წელს ახალციხეზე ფიქრით შეპყრობილი, სწერდა: „არ დაშთეს დაუპყრობლად ქვეყანა ახალციხისა, რომელიც ჩვენი იყო... თურქეთის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის"...

* * *

აი, სოფელი ვალე. იგი მაღლობზეა შეფენილი. სულ ზემოთ სასოფლო საბჭოს შენობაა, იქვე არის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კანტორა. ეს ახალციხის რაიონის ერთ-ერთი შეძლებული კოლმეურნეობაა. მისი თავმჯდომარე სიმონ კაკაჩიშვილი ჭაღარაშერეული, ახოვანი და საქმის მოყვარული კაცია. მას კანტორაში დღისით იშვიათად ნახავთ. სადაც მუშაობაა, ისიც იქ ტრიალებს— ბრიგადებში, ფერმაში, ტრაქტორისტებთან, ხეხილის ბაღებში, ბოსტნებში და ყველგან, სადაც უხვი მოსავლისათვის ბრძოლაა გაჩაღებული.

წინათ ამ ფერდობებზე, გადაშლილ მინდვრებზე, ბაღებში თუ ფერმებში უმთავრესად მამაკაცები მუშაობდნენ.

მაგრამ ახლა ომია! მამაკაცების დიდი ნაწილი ფრონტზე წავიდა, სამშობლოს დასაცავად, ხოლო ქალები კოლმეურნეობაში იბრძვიან უხვი მოსავლისათვის. ისინი ზურგს უმაგრებენ თავიანთ ქმრებს, შვილებსა და ძმებს.

ბრძოლა!

ეს სიტყვა ახლა ყველას პირზე აკერია.

— ბრძოლა სამშობლოსათვის!

— ბრძოლა უხვი მოსავლისათვის!

და აი, მესხეთის ვაჟკაცები, რომლებსაც დიდი ტრადიციები მოსდგამთ, მსგავსად თავიანთი მამა-პაპებისა, გმირულად იბრძვიან სამშობლოსათვის, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილებთან მხარდამხარ მუსრავენ მტერს მის ბუნაგში. მარტო სოფელ ვალეს კოლმეურნეობამ ფრონტზე ექვსასი ვაჟკაცი გაგზავნა. მათ თავი ისახელეს მტრის განადგურებაში.

ამ სოფლის მკვიდრი სტახანოველი კიმოთე გოზალიშვილი ომის დაწყების მეორე დღესვე წავიდა ჯარში. იგი ჯერ იბრძოდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქის—მოსკოვის დაცვისათვის, შემდეგ მისი ქვემხი სტალინგრადის მისადგომებთან ანადგურებდა გერმანელთა ტანკებს, ხოლო ახლა ბერლინის გარეუბნებში იბრძვის. მას მკერდს ამშვენებს წითელი დროშის ორდენი, მედლები „მოსკოვის დაცვისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის".

კოლმეურნეებმა ათანე ჩიტაშვილმა, შოთა გიორგაძემ, დავით ნადირაძემ და სხვა მრავალმა სამშობლოს დაძახილზე შაშხანა აიღეს ხელში და მტერს ეკვეთნენ.

ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელიც განთქმულია თვალწარმტაცი ბაღებით, საუკეთესო ფერმითა და ხორბლის დიდი მოსავლით, წითელ არმიაში გაგზავნილთაგან ორმოცზე მეტი ორდენოსანი ჰყავს.

ვალელმა, კლდელმა, წნისელმა, აწყურელმა ვაჟკაცებმა სამამულო ომის ფრონტებზე თავი ისახელეს გმირობითა და ვაჟკაცობით. ხოლო ზურგში დარჩენილმა კოლმეურნე მამაკაცებმა და ქალებმა დიდი შრომა გასწიეს, რათა მეტი პური, ხილი, ბოსტნეული მიეღოთ. მეტი ხორცი და რძის ნაწარმი მიეცათ ფრონტისათვის.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ქალებმა სპეციალური სამკერვალოები მოაწყეს, ფართლეული თავიანთი დანაზოგით შეიძინეს და საღამოობით ჰკერავდნენ ძაობით თბილ ტანისამოსს ფრონტელთათვის. მათ რამდენიმე ვაგონი ხილი, ტონობით ხორბალი და სხვა საჩუქრები გაუგზავნეს წითელ არმიას.

ვალელმა კოლმეურნეებმა ერთ მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს ტანკებისა და თვითმფრინავების მშენებლობის ფონდში. ისინი დიდ მზრუნველობას უწევენ ფრონტელთა ოჯახებსაც. შარშან ფრონტელთა ოჯახებსა და სამამულო ომის ინვალიდებს უსასყიდლოდ მისცეს რვა ტონა ხორბალი, ათი ტონა ბოსტნეული და რამდენიმე ათეული წყვილი ფეხსაცმელი.

მესხეთის საკოლმეურნეო მინდვრებზე ნამდვილი ბრძოლაა გაჩაღებული. ბრძოლა უხვი მოსავლისათვის. დაწყებულია ჯეჯილის მარგვლა, სარეველა ბალახებისაგან სწმენდენ მიწას, რომ იზარდოს ჯეჯილი, დროზე დაპურდეს.

ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან შემოდგომის ხორბლის მოსავალი ცამეტის მაგიერ ჰექტარზე საშუალოდ თექვსმეტი ცენტნერი მიიღო, ხოლო ქერი ნაცვლად თექვსმეტისა—ოცდაშვიდი ცენტნერი.

როგორ მიიღეს ასეთი მოსავალი?

— მოსავლის გადიდების მიზნით ჩვენ ვატარებთ ნაწვერალის ათოშვას,—ამბობს სიმონ კაკაჩიშვილი,—პურის მკასა და ნიადაგის ხვნას თითქმის ერთსადაიმავე დროს ვაწარმოებთ. ჰექტარზე 30-40 ტონა ნაკელი შეგვაქვს და ასე ვახულებთ მიწას. სექტემბრის შუა რიცხვებში ამ ნაწვერალს ცოტა ღრმად გადავხნავთ, ხოლო ოქტომბერში ისევ მოვხნავთ და იმავე დროს ვთესავთ. აპრილში, როცა ჯეჯილი კარგად ამოიყრის, ვმარგლით—ხელით ვაცლით სარეველა ბალახებს. ამასვე ვიმეორებთ მაისის პირველ რიცხვებში, ხოლო შუა მაისიდან ყანაში დამატებითი საკვები — წყალში გახსნილი ნაკელი შეგვაქვს. ეს მეტად კარგ შედეგს იძლევა.

— წელს შარშანდელზე გაცილებით მეტი მოსავალი უნდა მივიღოთ!—ამბობს კაკაჩიშვილი და განაგრძობს,—ყველა ბრიგადირმა რომ ლუკა კოპაძესავით იმუშაოს, მაშინ, მოგეცათ სიკეთე, პური დახვავდება.

მართლაც, მეშვიდე ბრიგადის ხელმძღვანელმა ლუკა კოპაძემ შარშან ჰექტარზე, ნაცვლად 13-ისა, 22 ცენტნერი პური მიიღო, ქერი—28 ცენტნერი და სიმინდი—24. გეგმით კი უნდა მიეღო ჰექტარზე 16 ცენტნერი ქერი და სიმინდიც ამდენივე.

ლუკა კოპაძე მიღწეულით როდი კმაყოფილდება.

— წელს გაცილებით მეტი მოსავალი უნდა მივიღოთ!—გვეუბნება იგი.—ბრძოლის საქმე არ არის? ჩვენც ვიბრძოლებთ, შრომას არ დავზოგავთ. მიწაც, თუ კარგად მოუვლით, კარგ პირნახულს მოგვცემს.

ქალი კოლმეურნეობაში დიდი ძალაა

სოფელი კლდე ფერდობზეა შეფენილი, ორივე მხრივ მთა არტყია, მაგრამ წინ ხეხილის ბაღი ხარობს და მოშორებით კიდევ ასეულ ჰექტრობით სახნავ-სათეს მინდვრებზე ზოგან ჯეჯილი ბიბინებს, ზოგან ქერს სთესენ და სიმინდისათვის ნიადაგს ხნავენ.

ხალისიანი საუბარია ბაღებში, სადაც ხეებს ირგვლივ მიწას ბარავენ. სკოლიდან მომავალი ბავშვები მღერიან, ხოლო მოხუცები გრძელტარიანი ჩიბუხის ბოლს აყოლებენ გულთბილ საუბარს აქაურ ბარაქიან მიწაზე, ომზე და იმ მოსავალზე, რომლისთვისაც ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ.

სოფელ კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ორას ოცდაათი კომლია გაერთიანებული. ორას ოთხმოც ჰექტარზეა მათი ჯეჯილი გადაჭიმული და შიგ ბარაქა ტრიალებს.

ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შაქრო მაჩაიძემ ბრძოლით მოიარა ნოვოროსიისკი, ტუაფსე, არმავირი, მაიკოპი. მტრის ტყვიამ ფრონტს ჩამოაშორა, მაგრამ აქაც ხომ ფრონტია, შრომის ფრონტი. ახლა კოლმეურნეობაში იბრძვის...

ბაღებში, ვენახში, მეცხოველეობის ფერმასა და მინდორზე ქალთა წკრიალა ხმა ისმის. ორასამდე ქალი მუშაობს ამ კოლმეურნეობაში. მზიანს თუ არა დილა, ისინი ბრიგადებსა და რგოლებში მიდიან სამუშაოდ. გვიან საღამომდე ისმის მტკვრის ჭალებში მათი მხიარული სიმღერა და კისკისი.

ნინო კვირიკაშვილი ორი შვილის დედაა. მას შემდეგ, რაც ქმარი წითელ არმიაში გაისტუმრა, მის ოჯახს უკაცობა როდი შეუტყვია. ყოველ ცისმარა დღეს იგი გულმოდგინედ მუშაობს და სახელს დოვლათით აქარგებს.

დუნია კურტანიძე ახალგაზრდაა, ჯანღონით სავსე. მამამისი ფრონტზეა, სამშობლოს სადარაჯოზე, ხოლო დუნია სოფელ კლდეში საკოლმეურნეო შრომას ეწევა. მას მიმდინარე წლის რამდენიმე ათეული შრომადღე აქვს გამომუშავებული და პურის დიდ მოსავალს მოელის.

სონა ნადირაძე ვაშლის ხეს სხლავდა, როცა ჩვენ ბაღში შევედით. იგი ვალის კოლმეურნეობის თვალია,—მითხრა სიმონ კაკაჩიშვილმა. ცხრამეტი წლის სონამ შარშან სამასი შრომადღე გამოიმუშავა, ერთ შრომადღეზე მიიღო 6 კილოგრამი მარცვლეული, 1,5 კილოგრამი კარტოფილი, ნახევარი კილოგრამი ბოსტნეული, 200 გრამი ლობიო და სამი მანეთი ფული, ხოლო მოსავლის გადიდებისათვის ჯილდოდ სამი ცენტნერი პური ერგო.

ვალეს კოლმეურნეობაში, რომელიც 330 კომლს აერთიანებს, ხუთასამდე ქალი მუშაობს. მათ უხვი მოსავალი მიიღეს. ბევრ მათგანს ჯილდოს სახით ცენტნერობით პური დაურიგდა. წელსაც წარმატებით იბრძვიან მეტი პურისათვის, ყველა კულტურის მოსავლის ერთიორად გადიდებისათვის.

ახალციხის, ვალეს და კლდის კოლმეურნეობებმა ქერის თესვა უკვე დაამთავრეს. ახლა ნიადაგს ამზადებენ სიმინდისათვის.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი მინდვრები ქალაქიდან არც ისე შორსაა. აქ ახლა ტრაქტორები ღრმად აბრუნებენ მიწას. ამალია ლიასამიძის წითელ თავსაფარს, ტრაქტორზე რომ ფრიალებს, შორიდან შეამჩნევს კაცი. მის ტრაქტორზე პატარა წითელი ალამიც ჰკიდია! ამალია სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა, სტახანოველი იყო, მაგრამ მანქანა-ტრაქტორების სადგურს კადრები აკლდა, ვაჟკაცები ფრონტზე წავიდნენ. ამალიამ გადაწყვიტა ტრაქტორისტობა შეესწავლა, რამდენიმე თვეში კურსი დაამთავრა და საუკეთესო ტრაქტორისტი დადგა.

ახალციხეში ახლა რამდენიმე ქალი ეუფლება ტრაქტორის მართვის ტექნიკას!

ხარობს ბაღი, ვენახმაც უნდა გაიხაროს!

მესხეთში კარგი ხილი იცის. ახალციხური ვაშლი ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. ფაშალმა, შაქარამ, მახარა, კიტრა ვაშლი, იალალმა უხვად მოდის კოლმეურნეობათა ბაღებში. აქაური მსხალი ნაქებია თავისი ფერით, სურნელით და გემოთი. ყაბაღ არმუდ, ნანაზირი, თაფლიჯული და სხვ. ეს ადგილობრივი ჯიშის მსხლები ცნობილია მთელ საქართველოში.

მებაღეობა აქ ფართოდ არის განვითარებული. თითქმის ყველა კოლმეურნეობას ათეულ ჰექტარზე ბაღი აქვს. გასხვლა და ნიადაგის გადაბარვა უკვე დაამთავრეს ახალციხის, ვალეს, კლდის, წნისის და სხვა კოლმეურნეობებმა. ისინი წელს ხეხილის დიდ მოსავალს მოელიან.

სოფელ კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას 50 ჰექტარი ბაღი აქვს. სოფლიდან მტკვრის ხეობამდე დავაკებული ადგილი ბაღს უჭირავს. გვესიამოვნებათ შიგ შესვლა. ბაღი კარგადაა მოვლილი. იგი შემოღობილია. დამუშავებული ნიადაგი უხვად ღებულობს საზრდოს.

მალე ყვავილების თეთრი ზღვა აღელდება სოფლის ირგვლივ.

ახალციხის კოლმეურნეობები დიდ მუშაობას ეწევიან ვენახის გასაშენებლად.

მესხეთში წინათ ბაღთან ერთად ვენახიც ხარობდა. ადგილობრივი ღვინო მოსდიოდათ მესხოვრებლებს. აქაური ვაზის ჯიშებია: ცხენის ძუძუ, ხარისთვალა, ბუდეშური, თითა და სხვ. სოფელ ზოგისა და კლდის პურ-ღვინო განთქმული ყოფილა. ამას ხალხური ლექსებიც ადასტურებენ:

ღვინო ზოგისა, პური კლდის,
თევზი მე მოხოვე ტობასა,
თუ გინდა წითელი ვაშლი
ვალმა-გამოლმა წყაროსა.

ახლაც მრავალ კოლმეურნეობას აქვს ვენახის საცდელი ნაკვეთი. სოფელ კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთზე შესანიშნავად გაიხარა გორული მწვანისა და ალიგოტეს ჯიშის ვაზებმა. მათ პირველი მოსავალი უკვე მიიღეს, კარგი ღვინო დააყენეს. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე შაქრო მაჩაიძე ვენახის ენთუზიასტია. იგი ღიმილით გვეუბნება:

— ქართველ ოჯახს ღვინო რომ არ ჰქონდეს, სირცხვილი არ არის? ჩვენს მიწაზე რა არ ხარობს. ახლა ვაზიც უნდა გავაშენოთ, რომ ჩვენს მაღლიან პურთან ერთად საკუთარი ღვინოც გვქონდეს.

დოლი კარგად ჩატარდა

მესხეთ-ჯავახეთში ცხვარი დიდ პატივშია. აქაური საზაფხულო საძოვრები და ჰავალი მთის ჰავა მრავალია, ბიოლოგიურ. აქ ყოველ ნაბიჯზე, ფერდობებზე თუ გაშლილ მინდვრებზე გხვდებათ ცხვარი.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობას კარგად მოწყობილი ბოსლები და ფარეხები აქვს. თეთრი, შავი, წაბლისფერი და ჭრელი ბატკნები ლაღად გრძნობენ თავს. დოლი კარგად ჩატარდა. არც ერთი ბატკანი არ დაიღუპა.

სოფელ ვალეს კოლმეურნეობაც დაწინაურდა პირუტყვის მოვლა-შენახვასა და განვითარებაში. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის კოლმეურნეობას გეგმით უნდა ჰყოლოდა 650 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ფაქტიურად 666 სული ჰყავდა, ხოლო ცხვარი და თხა 270-ის ნაცვლად 285 სული. პირუტყვმა კარგად გამოიზამთრა.

პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად იზრდება პროდუქტიულობაც. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევა ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ერთი ძროხისაგან 680-ის ნაცვლად 728 ლიტრი რძე მიიღო.

* * *

წელს მესხეთელი კოლმეურნეები ახალი ენერგიით იბრძვიან უხვი მოსავლისათვის! გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ვალელები ეჯიბრებიან წყალთბილელებს, წნისელები—ზოგელებს. შეჯიბრების ტალღა სოფლიდან სოფელში გადადის.

1945 წელს უნდა გადიდდეს ყველა კულტურის მოსავალი და გაიზარდოს მეცხოველეობის პროდუქტიულობა!

ვნახოთ რას მოიტანს მადლიანი ზაფხული და გულუხვი შემოდგომა!

ქ. გოგიავა

ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ლ. კოპაძე, რ. დარბაიძე და მ. ნადირაძე თესვისათვის ამზადებენ სათეს მანქანას.



ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონ კაკაჩიშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ახალციხის რაიონის სოფელ კლდეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ეფროსინე კურტანიძე ხეხილის ბაღში.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ვენახების დამუშავება ჭიანურდება

გურჯაანი („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). გურჯაანის რაიონი ცნობილია საუკეთესო ხარისხის მარკიანი ღვინოებით „საფერავით", „რქაწითლით", „ხიხვით" და სხვ. ღვინის სიმაგრე ხშირად 13,5 გრადუსამდე აღწევს, ყურძნის მოსავლიანობა კი ჰექტარზე — 60-100 ცენტნერს. რაიონში გაშენებულია 4.775 ჰექტარი ვენახი, მათ შორის 2.000 ჰექტარამდე — კოლმეურნეობებში. არის 3 საბჭოთა მეურნეობა. კოლმეურნეობებმა შარშან გამოიყვანეს 10.000 ძირი ახალი ნამყენი, წელს კი — 1 მილიონ ცალამდე.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაზის სამუშაოთა ვადების და ხარისხის დაცვას. წელს ზოგან ეს ვადები ირღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ვადა დიდი ხანია გავიდა, კოლმეურნეობებში დაუბარავია 280 ჰექტარი ვენახი. მოხვნა და შებარვაც არ ჩატარებულა 400-ზე მეტ ჰექტარზე. გაუსხლავია 150 ჰექტარი. დიდი ჩამორჩენაა აგრეთვე ვენახების შესარვის, აკვრა-შეყელვის, ნაკელის გატანის და სხვა სამუშაოებში.

სოფელ კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვ. ამონაშვილი) 64 ჰექტარი ვენახი აქვს, მაგრამ 0,36 ჰექტარზე მეტი არ დაუბარავს. კოლმეურნეობას სჭირდება 120.000 ცალი ჭიგო, მაგრამ 65.000-ზე მეტი არ დაუმზადებია. არ დაუწყიათ ვენახის შესარვა. პლანტაცია 10-15 პროცენტით მეჩხერია, მაგრამ არც ვაზის გადაწვენას შესდგომიან.

გურჯაანის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კახაშვილი) 24 ჰექტარი ვენახიდან მხოლოდ 1,5 ჰექტარი მოხნა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ვენახების შესარვის საქმესაც — 25.000 ჭიგოს ნაცვლად 6.000 ცალი დაამზადეს.

ასეთივე ჩამორჩენაა ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში" (თავმჯდომარე ვ. ჯავახიშვილი), ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთანში", ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" და ურიათუბნის კოლმეურნეობა „სოციალისტურ გზაში".

მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამერიკული ვაზის სადედე მეურნეობის მოწყობას, მაგრამ გურჯაანის რაიონში ეს საქმეც მოუგვარებელია — 64 ჰექტარიდან 7 ჰექტარი სადედე ვაზი წელს ჯერ არც კი გაუსხლავთ. ამ მხრივ ჩამორჩებიან სოფელ კალაურის სტალინისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობები, აგრეთვე სოფელ შაშიანის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზა".

სავალდებულოა თვითეულ კოლმეურნეობაში მოეწყოს მევენახეობის სპეციალური ბრიგადა, რგოლი, დაწესდეს მკაცრი კონტროლი მუშაობის ხარისხისადმი. მაგრამ ამას ყველგან როდი ითვალისწინებენ.

დასკვნა ერთია: ვენახების დამუშავების არსებული ტემპები გურჯაანის რაიონში ვერ უზრუნველჰყოფენ წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას და სადედე მეურნეობის ფართოდ განვითარებას. სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომს და რაისაბჭოს აღმასკომს ეკუთვნის.

ტ. თოდრაძე

ბაღებსა და ვენახებს—საუკეთესო მოვლა

კასპი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). მოწინავე კოლმეურნეობები საუკეთესოდ უვლიან ბაღებსა და ვენახებს. ხეხილის ბაღები დაბარულია 600 ჰექტარზე. გამოირგო ახალი ნამყენი 3.000 ცალი. ნიადაგში შეტანილია 65.000 ტონა ადგილობრივი სასუქი. ცოცხალი ღობე გაშენებულია 6.300 მეტრზე. დაბარულია 400-მდე ჰექტარი ვენახი, შეტანილია 55.000 ტონა ორგანული სასუქი და გასხლულია 400-ზე მეტი ჰექტარი ვაზი. გამოჰყავთ ნამყენი მოძმე უკრაინის სს რესპუბლიკისათვის.

სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობს" (თავმჯდომარე ვ. მანჯგალაძე) 82 ჰექტარი საუკეთესო ბაღი აქვს. ბრიგადირ თ. რისვაშვილის და მერვოლურ სალომე კაციაშვილის ხელმძღვანელობით კოლმეურნეები მზრუნველობით უვლიან ხეხილს: 80-დან დაბარულია 60 ჰექტარზე მეტი, ნაკვეთებში შეტანილია 320 ტონა ორგანული სასუქი, ხეხილი გასხლული და გაწმენდილია. კოლმეურნეობას 1 ჰექტარზე გაშენებული აქვს ქარსაცავი მცენარეები, 1.500 მეტრზე — ცოცხალი ღობე, ხოლო აკაცია 3.000 მეტრზე. წელს კოლმეურნეობა დამატებით რგავს 2,5 ჰექტარ ხეხილის ნამყენს.

ხეხილის ბაღებს აგრეთვე კარგად უვლიან სოფელ სასირეთის კოლმეურნეობა „პირველი მაისი" (თავმჯდომარე ი. ონეზაშვილი, მებაღეობის ბრიგადირი ს. ჭალიაშვილი) და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. „პირველი მაისის" მებაღეობა-მევენახეობის ბრიგადის წევრები მიმდინარე წლის ზამთრის, თბილ დღეებში მუშაობდნენ ბარვაზე, შეღობვაზე, ნაკვეთებში შეჰქონდათ ადგილობრივი სასუქი, აშენებდნენ ქარსაცავ ზოლებს. პირველი აპრილისათვის კოლმეურნეობას დამთავრებული ჰქონდა ბაღებისა და ვენახების სამუშაოები.

სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ე. ლომსაძე) ასე წარმატებით ვერ იმუშავა. მან 12 ჰექტარის ნაცვლად ადგილობრივი სასუქი შეიტანა მხოლოდ 2 ჰექტარზე, აკაცია 1.000 მეტრის ნაცვლად გააშენა 500 მეტრზე. ხეხილის ბაღებშიც არ შეუტანია სასუქი. ასევე ჩამორჩა სოფელ ოკამის კოლმეურნეობა „განთიადი" (თავმჯდომარე მ. კაპანაძე, მევენახეობის ბრიგადირი ლ. ჩიტაშვილი).

მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედი" (თავმჯდომარე ს. ზოგველი, ბრიგადირი ა. მერებაშვილი) ბაღსა და ვენახში ჯერაც არ შესდგომია რიგთა შორის ხვნას და შტამბის ირგვლივ შემობარვას, არ შეუტანია ორგანული სასუქი, არავითარი ზომები არ მიუღია ცოცხალი ღობეებისა და ქარსაცავი ზოლების მოწყობისათვის. იქ ბაღებსა და ვენახებს საქონელი ანადგურებს.

ასეთივე მდგომარეობაა მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე შარიფაშვილი, ბრიგადირი ვ. აზმაიფარაშვილი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ვენახებისა და ხეხილის ნარგავების მოვლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ჩვენი მოვალეობაა ურყევად განვახორციელოთ ეს ღონისძიებანი.

ვ. ბუზალაძე

ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მებაღე გიგო ფეიქრიშვილი ვაშლის ხის შეწამვლაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

22 აპრილის ოპერატიული ცნობა

22 აპრილს ჩვენი ჯარების ცენტრალური ჯგუფი შეტევით ბრძოლებს განაგრძობდა დრეზდენისა და ბერლინის მიმართულებებით.

დრეზდენის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ლუბენაუ, დამე, შლიბენი, ზონევალდე, ფინსტერვალდე, რულანდი, ელსტერვერდა, შვეპნიტცი, ბურკაუ, ბიშოფსვერდა. წინასწარი ცნობებით, 17-დან 21 აპრილამდე ამ მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 10.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 96 თვითმფრინავი და 150-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

ბერლინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ბიზენტალი, კალკბერგე, კლაინშენებეკი, ფრიდრიხსჰაგენი, ფიურსტენვალდე და ბერლინის გარეუბნები—გლინიკე, ლუბარსი, ბლანკენფელდე, როზენტალი, ბუხჰოლცი, კაროვი, ბლანკენბურგი, მალხოვი, ვაისენზეე, ჰოენშონჰაუზენი, მარცანი, ბისდორფი, მალსდორფი, შენაიხე, ფიხტენაუ, ვილჰელმსჰაგენი. წინასწარი ცნობებით, 17-დან 21 აპრილამდე ამ მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 13.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 60 თვითმფრინავი, 100-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 500-ზე მეტი საველე ქვემეხი.

ვენის ჩრდილოეთით უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ავსტრიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დრასენჰოფენი, ოტენტალი, ვილდენდიურნბახი, ნოიდორფი, ალტენმარკტი, აიხენბრუნი, მერკერსდორფი, სიმონფელდი.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

21 აპრილს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 156 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 56 თვითმფრინავი.

23 აპრილის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ოდერის დასავლეთით ნაპირის პლაცდარმებიდან გადავიდნენ შეტევაზე, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, რომელიც ბერლინს აღმოსავლეთიდან იფარავდა, წინ წაიწიეს 60-დან 100-მდე კილომეტრით, დაიკავეს ქალაქები ოდერის ფრანკფურტი, ვანდლიტცი, ორანიენბურგი, ბირკენვერდერი, გენიგსდორფი, პანკოვი, ფრიდრიხსფელდე, კარლსჰორსტი, კეპენიკი და შეიჭრნენ გერმანიის დედაქალაქ ბერლინში. 22 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 4.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 85 საველე ქვემეხი, 3.100 ავტომანქანა, 67 ორთქლმავალი, 1.800 რკინიგზის ვაგონი და 30 საწყობი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული და ღრმად ეშელონირებული თავდაცვა მდინარე ნეისეზე, წინ წაიწიეს 80-დან 160-მდე კილომეტრით, დაიკავეს ქალაქები კოტბუსი, ლუბენი, ცოსენი, ბეელიტცი, ლუკენვალდე, ტროიენბრიტცენი, ცანა, მარიენფელდე, ტრებინი, რანგსდორფი, დიდერსდორფი, ტელტოვი და სამხრეთიდან შეიჭრნენ გერმანიის დედაქალაქ ბერლინში.

ამავე დროს დრეზდენის მიმართულებით ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები ესენი, კირხჰაინი, ფალკენბერგი, მიულბერგი, პულსნიტცი და გავიდნენ მდინარე ელბასთან დრეზდენის ჩრდილო-დასავლეთით.

22 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 7.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 200 ტანკი, 105 საველე ქვემეხი და 3.000 ავტომანქანა.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 22 აპრილს დღის ბოლოს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იერიშით დაიკავეს ქალაქი ოპავა (ტროპაუ) — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, გოდონინის სამხრეთ-დასავლეთით, უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი მიკულოვი და დასახლებული პუნქტები ლედნიცე, პულგარი, პავლოვი, პერნა, პრატლსბრუნი, დოლნიე დუნაევიცე, დობროე პოლე.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

22 აპრილს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 165 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 61 თვითმფრინავი.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას ანვითარებდნენ და შეიჭრნენ გერმანიის დედაქალაქ ბერლინში. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევა, მაგრამ საბჭოთა ჯარების დარტყმებით ზედიზედ [illegible]

[illegible] ში. ქუჩის ბრძოლებში მტრის გარნიზონი დამარცხებულ იქნა და მან უწესრიგოდ დაიხია უკან. კოტბუსი წარმოადგენს გზების დიდმნიშვნელოვან კვანძს. აქ თავს იყრის რვა რკინიგზა და მთელი რიგი გზატკეცილები. [illegible]

[illegible] —გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული პუნქტისათვის მდინარე შპრეეზე. მტერი, რომელმაც ქალაქის გარნიზონი გააძლიერა სატანკო დივიზიით, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. საბჭოთა ნაწილებმა ძლიერი დარტყმებით განდევნეს ჰიტლერელები ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილიდან. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც გადავიდნენ მდინარე შპრეეზე, დასავლეთიდან შემოუარეს კოტბუსს, ხოლო შემდეგ დაიწყეს ქალაქის იერი[illegible]

[illegible] ცილების დიდმნიშვნელოვანი კვანძი. ქალაქის მარტო აღმოსავლეთ გარეუბანში მოსპობილია გერმანელთა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა და ტყვედ წამოვიყვანეთ 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილში ჩაძირეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი 12 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ვინ აჯობებს?

ტყიბული („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ა. ჭირაქაძის უბნის კოლექტივთან გამარჯვების მიღწევის უზრუნველსაყოფად 8. ციცხვაიას უბნის კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა და შესამჩნევად გააძლიერა მუშაობის ტემპები. ვახტზე დადგომის პირველსავე დღეს — 20 აპრილს, უბნის კოლექტივმა სადღეღამისო დავალება 257 პროცენტით შეასრულა.

ტყვარჩელი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). 20 აპრილს ა. ჭირაქაძის უბნის კოლექტივმა სადღეღამისო დავალება შეასრულა 128,3 პროცენტით.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ვაშინგტონში ჩავიდა

ნიუ-იორკი, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს 17 საათსა და 46 წუთზე თვითმფრინავით ვაშინგტონში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

აეროდრომზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვს შეხვდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი სტეტინიუსი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. გრომიკო და საბჭოთა საელჩოს შემადგენლობა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი ჰარიმანი, ინგლისის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი კლარკ კერი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბ-ნი დანი და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ჩამოსვლას ელოდა ამერიკელ და უცხოელ კორესპონდენტთა და კინოოპერატორთა დიდი ჯგუფი.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 22 აპრილი. (საკდესი). ავტორიტეტულ წრეებში იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა ვ. მ. მოლოტოვი მიიღო 00.30 ცოტა ხნის შემდეგ გრინვიჩის დროით. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ტრუმენთან დაახლოებით 30 წუთს გაგრძელდა. საუბრის შემდეგ მოლოტოვმა, იდენმა, სტეტინიუსმა, გრომიკომ, ჰარიმანმა, კერმა, კადოგანმა, დანმა, ბოლენმა თათბირი დაიწყეს სახელმწიფო დეპარტამენტში. თათბირი 1 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. მოელიან, რომ იგი 23 აპრილს განახლდება.

ვაშინგტონი, 23 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ დღეს 10 საათსა და 30 წუთზე ვაშინგტონის დროით მოლოტოვმა, სტეტინიუსმა და იდენმა განაახლეს თათბირი.

სახელმწიფო მდივნის მოადგილე გრიუ და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, რომლებიც სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების გუშინდელ თათბირს ესწრებოდნენ, დღევანდელ დილის თათბირსაც დაესწრნენ.

ვაშინგტონი, 23 აპრილი. (საკდესი). დღეს დილით ვ. მ. მოლოტოვი, ე. სტეტინიუსი, ა. იდენი და მათი თანაშემწეები სათათბიროდ [illegible] ნახევრის განმავლობაში თათბირობდნენ. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ გრიუმ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, თათბირი რამდენიმე ხნით შესწყდაო".

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში სტეტინიუსმა განაცხადა: „ჩვენ ჯერ კიდევ ვთათბირობთ".

სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს დაესწრნენ გრომიკო, ლონდონის საელჩოს მრჩეველი სობოლევი, სახელმწიფო დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელი დარბროუ, აგრეთვე იდენის თანაშემწე მაიორი ბირსი და სხვ.

პოლონეთის რესპუბლიკის კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტ ბ-ნ ბ. ბერუტის და პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრ და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ე. ოსუბკა-მორავსკის მოსკოვში ყოფნის გამო

22 აპრილს პოლონეთის რესპუბლიკის კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი, პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი და საგარეო [illegible] ... კოვსკი, მ. როლია-ჟიმერსკი, [illegible] მინისტრი ბ-ნი ჰ. მინცი, პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ზ. მოძელევსკი, კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდიუმის წევრი ბ-ნი ვ. კოვალსკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი ა. ბერმანი და პოლონეთის ჯარის მთავარსარდლის მოადგილე გენერალ-მაიორი მ. სპიხალსკი.

ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ვ. ზ. ლებედევი, [illegible] ... ფუ ვინ-ჩანი, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი გენერალი ჟ. კატრუ, ბელგიის ელჩი ბ-ნი ე. ლე გე, მექსიკის ელჩი ბ-ნი ნ. ბასოლსი, იტალიის ელჩი ბ-ნი პ. კვარონი, ეთიოპიის დესპანი ბ-ნი ლ. ტაეზასი, ურუგვაის დესპანი ბ-ნი ე. ფრუგონი, ეგვიპტის დესპანი ბ-ნი ქ. აბდელ რაჰიმ ბეი, შვეციის დესპანი ბ-ნი ს. სედერბლუმი, ლუქსემბურგის დესპანი ბ-ნი რ. ბლუმი, მებრძოლი დანიის წარმომადგენელი ბ-ნი ტ. დესინგი, ბულგარეთის წარმომადგენელი ბ-ნი დ. მიხალჩევი [illegible] ... სპექტაკლის დაწყების წინ დიდი თეატრის ორკესტრმა შეასრულა პოლონური და საბჭოთა ეროვნული ჰიმნები.

თეატრში მყოფნი გულთბილად მიესალმნენ ბ-ნ ბ. ბერუტს, ნ. მ. შვერნიკს, ბ-ნ ოსუბკა-მორავსკის და ლოჟაში მყოფ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მთავრობების წევრებს.

მარად ურღვევია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა საბრძოლო კავშირი!

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის დადებულ ისტორიულ ხელშეკრულებას

მოსკოვის მშრომელები დიდი კმაყოფილებით და სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის დადებულ მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულებას. საწარმოებში ჩატარდა ამ ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები. მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერტექნიკური მუშაკები მხურვალედ მიესალმებიან მოძმე პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებას და სთვლიან მას მშვიდობიანობისა და უშიშროების საქმეში შეტანილ დიდმნიშვნელოვან განძად.

— დღეს ჩვენ განსაკუთრებით სასიხარულო დღე გვაქვს, — სთქვა მუშამ [illegible]

[illegible] გამარჯვების ფონდში. პირობას ვდებთ, რომ კიდევ უფრო გავადიდებთ გამომუშავებას, კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას.

მრავალი მუშა და ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დადგა.

* * *

ლენინგრადელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ. ამ ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგებზე კითხულობდნენ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს. მიტინგის თვითეულმა მონაწილემ განსაკუთრებული ყურად[illegible]

[illegible] შინელება გადაიტანა, მამაცი წითელი არმიის დახმარებით გმირულ ბრძოლას ეწევა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ერთობლივ ბრძოლებში დაღვრილმა სისხლმა განამტკიცა ჩვენი, ამიერიდან ურღვევი, მეგობრობა.

* * *

ბელორუსიის მრავალ საწარმოში შემდგარ მიტინგებზე მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ისტორიულ ხელშეკრულებას.

მინსკის დეპოში მიტინგზე გამოვიდა სტახანოველი მემანქანე ამხ. სავინი.

— ყველა საბჭოთა ადამიანი, — განაცხადა [illegible]

[illegible] მე, რომლისთვისაც ორივე ქვეყნის ხალხებმა ამდენი მსხვერპლი გაიღეს. ხელშეკრულება დაგვეხმარება ომის უფრო სწრაფად დამთავრებაში და ხელს შეუწყობს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე პოლონეთის ძლიერების განმტკიცებას. საბჭოთა მთავრობის ბრძნული საგარეო-პოლიტიკა ალგვაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის. ჩვენმა კოლექტივმა უკვე შეასრულა აპრილის პროგრამა. ჩვენ ამჟამად გეგმის გადამეტებით ვაძლევთ პროდუქციას [illegible]

[illegible] ნოვი.

— მოსკოვში დადებული ხელშეკრულება, — სთქვა მან, — უდიდესი მოვლენაა რუს და პოლონელ ხალხთა ისტორიაში. პოლონეთის ყოფილი მმართველები მრავალი წლის განმავლობაში უნერგავდნენ ხალხს ჩვენი სამშობლოსადმი არამეგობრულ, მტრულ დამოკიდებულებას. ამიერიდან ჩვენი მოძმე ხალხების მტერთა ხრიკებს ბოლო მოეღო. პოლონელი ხალხი, რომელმაც ჰიტლერული ჩაგვრის სა[illegible]

[illegible] არმიამ დაიცვა თავისი სამშობლო, გასწმინდა საბჭოთა მიწა-წყალი ფაშისტური სიბილწისაგან და ძმური დახმარების ხელი გაუწოდა პოლონეთის ტანჯულ ხალხებს. ამ დღეებში წითელი არმია და ჩვენი მოკავშირეების არმიები გამანადგურებლად ურტყამენ ჰიტლერელებს აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ეს დარტყმები აახლოებენ გაერთიანებული ერების მტერზე გამარჯვების ჟამს, გამარჯვების სანატრელ ჟამს. (საკდესი).

„უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის აქტი"

გამოხმაურება პოლონეთში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების გამო

ვარშავა, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს ვარშავის, ლოძის, კრაკოვის, ლიუბლინისა და პოლონეთის სხვა ქალაქების მოედნებზე რადიორეპროდუქტორებთან, რომლებიც გადასცემდნენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და [illegible] თანამშრომლობის ხელშეკრულების ტექსტს და სიტყვებს, რომლებითაც ერთმანეთს მიმართეს [illegible]

„აღორძინებული და ძლიერი პოლონეთი ის ფაქტორია, რომელიც საჭიროა მშვიდობიანობისათვის. ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ივა შესძლებს სამუდამოდ უზრუნველყოს თავისი დამოუკიდებლობა და თავისი საზღვრები. ეს გააკეთა ჩვენმა დროებითმა მთავრობამ, რომელმაც აირჩია ერთადერთი გზა, რაც უზრუნველყოფს პოლონეთის უშიშროებას. [illegible]

[illegible] მეგობრობაში. ამ პოლიტიკის საძირკველს წარმოადგენს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტს ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მან სამუდამოდ განსაზღვრა ჩვენი მეგობრობა, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ურთიერთდამოკიდებულება".

მოწინავე სტატიაში — „ჩვენ მივესალმებით [illegible]

[illegible] ოფიციოზი „რეჩ პოსპოლიტა" [illegible] ... ცხოვრებაში და მოწინავე სტატიაში სწერს:

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ვარშავაში

ვარშავა, 22 აპრილი. (საკდესი). გუშინ ვარშავის რადა ნაროდოვას სხდომათა დარბაზში შესდგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. დარბაზი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახელმწიფო ალმებით. დამსწრეთა შორის იყვნენ პოლონეთის დროებითი მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების წევრები, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოღვაწეები, უცხო სახელმწიფოების, აგრეთვე წითელი არმიისა და პოლონეთის ჯარის წარმომადგენლები. თავის შესავალ სიტყვაში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზო[illegible]

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 22 აპრილი (საკდესი). [illegible] კავშირეთა [illegible] სარდლობის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოკავშირეებმა დაიკავეს როტენბურგი და ბუქსტეჰუდე (ჰამბურგის რაიონში). მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს მდინარე ელბის ნაპირზე და გასწმინდეს ბლეკედე.

ლაიფციგის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა პატრულები გადავიდნენ მდინარე მულდეზე და თავ წაიწიეს წინ რამდენიმე კილომეტრით, რომ წინააღმდეგობას არ შეხვედრიან.

შვეიცარიის საზღვრის გასწვრივ აღმოსავლეთის მიმართულებით 13 კილომეტრით წინ წაწევის შედეგად მოკავშირეები ვორბლინგენთან გავიდნენ.

21 აპრილს მოკავშირეებმა წამოიყვანეს 37.276 ტყვე.

ლონდონი, 23 აპრილი. (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მდინარე პოს ხეობაში მე-5 და მე-8 არმიების სატანკო და ქვეითი ნაწილები განაგრძობენ წინსვლას მდინარე პოს მიმართულებით. მე-5 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი სან ჯოვანი, 15 კილომეტრზე ბოლონიის ჩრდილო-დასავლეთით, და გადალახეს მდინარეები სეკიო და პანარო. ამ არმიის სხვა ნაწილები უახლოვდებიან ქალაქ მოდენას. მე-8 არმიის ნაწილები ფერარიდან ორი მილის მანძილზე იმყოფებიან.

იტალიელთა პარტიზანულმა რაზმებმა მე-5 არმიის ჯარებთან თანამოქმედებით დაიკავეს ქალაქი სესტოლა (ბოლონიის სამხრეთ-დასავლეთით).

ამერიკის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 22 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, [illegible] აპრილს ამერიკელთა 350-მდე „მფრინავი ციხე" 400 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა მიუნხენს და ინგოლშტადტს და აეროდრომს ლანდსბერგში, 48 კილომეტრის მიუნხენის დასავლეთით.

თავდასხმა მუსოლინიზე

პარიზი, 22 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის საზღვრიდან მიღებულ ცნობას, რომ იტალიელი პატრიოტები თავს დაესხნენ მუსოლინის. მათ ნელი მოქმედების ორი ბომბი დადეს მუსოლინის სახლს მილანში, მაგრამ ბომბები მაშინ აფეთქდა, როცა ის სახლში არ იყო. მოკლულია ორი კაცი მუსოლინის მცველი რაზმის შემადგენლობიდან.

საფრანგეთის ჯარებმა შტუტგარტი დაიკავეს

ლონდონი, 22 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის რადიომ დღეს გადასცა ცნობა, რომ საფრანგეთის ჯარებმა შტუტგარტი დაიკავეს.

საფრანგეთის ჯარებმა რაინი გადალახეს და 21 აპრილს დილით ქალაქი ბრაიზახი დაიკავეს. წამოყვანილია რამდენიმე ათასი ტყვე. საფრანგეთის ნაწილებმა დუნაი გადალახეს მიულჰაიმთან და შვეიცარიის საზღვარს მიადგნენ.

პეტენი შვეიცარიაში დაიმალა

პარიზი, 22 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ორდრი" იუწყება, რომ, სანდო ცნობების მიხედვით, პეტენი და მისი ცოლი უკვე რამდენიმე დღეა შვეიცარიის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

მოხსენება

24 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კაცველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ინსტრუქტორებისათვის შედგება ამხ. ლ. ებანოიძის მოხსენება ქართულ ენაზე. თემა: „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა".

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 24/IV—„ტრავიატა", 25/IV—„ქეთო და კოტე". რუსთაველის სახელობის—25/IV—„ხევისბერი გოჩა". მარჯანიშვილის სახელობის—24/IV—„[illegible]", 25/IV—„უმნითო". გრიბოედოვის სახელობის—24, 25/IV—„[illegible]". მუსიკალური კომედიის—24/IV—„როზ-მარი", 25/IV—„[illegible]". სომხური—24, 25/IV—„[illegible]". ახუნდოვის სახელობის—24/IV—„[illegible] და ქერიმი", 25/IV—„ლეილი და მეჯნუნი". მოზარდ მაყურებელთა ქართული—24, 25/IV—„ფარავნელი ჭაბუკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე სუსანა კარაპეტის-ასულმა ნიჟარაძემ, მცხოვრებმა 25 თებერვლის ქ. № 12, აღძრა საქმე გოგოლის ქ. № 23 მცხოვრებ მოქალაქე დავით სიმონის-ძე ნიჟარაძესთან განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოში.

მეუღლე სერაფიმა, შვილები გუ[illegible], სულიკო, და მარგო ტყავაძე იუწყებიან სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯიქიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25/IV, 7 ს., გამოსვენება 26/IV, 5½ ს.

მექი, სოლომონ, ვერა, [illegible] კალანდარიშვილები, ნადია, ეთერ, [illegible] ქლენტები იუწყებიან გესიკო ანტონის-ძე კალანდარიშვილის გარდაცვალებას.

შრომის სახალხო კომისარიატის გამგეობა და თანამშრომლები იუწყებიან დავით კალანდაძის მამის იაგორ კალანდაძის გარდაცვალებას.

მშობლები იაკობ, ოლია ნიჟარაძეები, ძმა ანზორ იუწყებიან მამია იაკობის-ძე ნიჟარაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/IV, 8 ს. გამოსვენება 26/IV, 6 ს. [illegible] 5.

თბილისის, ვაკის XI საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება მასწავლებელ მარიამ დოჟეიძის დის ვერას გარდაცვალებას.

შვილები აგრაფინა, ნუცა, სიძე ვანო მინდორაშვილი იუწყებიან სანდრო ქიტესას-ძე ლაზაშვილის გარდაცვალებას.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00291